ღმერთო, დალოცე დედამიწა!

ერთი შეხედვით, აგვისტოს ერთი ჩვეულებრივი დღე იყო, კურორტისთვის დამახასიათებელი სილაღით, ბავშვების ჟრიამულით, გადაძახილებით, მუსიკის ჰანგებით, ქალებისა და ბავშვების სიჭარბით, ქალაქის ხვატსა და რიტმს გამორიდებული ადამიანებით. ტყიდან მონაბერი მაცოცხლებელი ჰაერი სულს უბერავდა და ენერგიით ავსებდა მთელი წლის ორომტრიალით ქანცგაწყვეტილ დამსვენებლებს: ზოგი მზეს ეფიცხებოდა, ზოგი კარტის თამაშით ირთობდა თავს, ახალგაზრდა დედები კურორტისთვის შესაფერისი ულუფით, დიდი კოვზებით დასდევდნენ ახალფეხადგმულ შვილებს, "დიდი პირი გამიღეს" ძახილით.

სანდრო და მისი მეგობრები კოტეჯის თავზე მზის ბატარეებს ამონტაჟებდნენ, ევროპიდან დაბრუნებული სანდრო გაუთავებლად საუბრობდა ენერგიის განახლებად წყაროებზე, სხვადასხვა ტექნოლოგიაზე, მათი გამოყენების აუცილებლობასა და სარგებელზე. დადგება დრო, მზის ბატარეები, ქარის წისქვილები, ბიომასით გათბობა ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდება, ევროპის გამოცდილება ჰაერივით გვჭირდება, ენერგიის ჭარბად მოხმარებას მსოფლიო ეკოლოგიურ კრიზისამდე მიჰყავს. ადამიანის ზემოქმედება კლიმატზე მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული კლიმატის დათბობის დომინანტური ფაქტორია. ევროპის ქვეყნები აქტიურად მუშაობენ სახიფათო ანთროპოგენური ჩარევის პრევენციისთვის. გათბობისა და გაგრილების ენერგოეფექტური სისტემები და ბუნებრივი ვენტილაცია ამცირებენ მავნე აირების ატმოსფეროში გამოყოფას.

- ე, ბიჭო! გაჩერდი, თორემ თავი ტრენინგზე მგონია, მაგ ტრენინგებიდან და სწავლისგან რომ მევისვენო, იმიზა ვარ აქანე, დეისვენე ცოტა და ჩვენც დაგვასვენე, - არ ცხრებოდა გოგა.

- ბუნება არ გვაპატიებს ტყეების უმოწყალოდ ჩეხას, მდინარეების სანაპიროდან ქვა-ღორღის უსასრულო მოპოვებას, ლანდშაფტის შეცვლას, მთა-გორების გამოშიგვნას. ევროპაში მზის ელექტროსადგურების მეშვეობით შენობები სრულად გამოიმუშავებს მისი ექსპლუატაციისთვის საჭირო ელექტროენერგიის რაოდენობას, იქ ყველაფერი, სამშენებლო მასალებით დაწყებული, განათებით დამთავრებული, ენერგიის ეფექტურად გამოყენებასა და დანაკარგის შემცირებაზეა მიმართული, - სანდრო ვერ იტევდა ევროპაში მიღებულ ცოდნას და ბიჭებს უზიარებდა.

- შენ, ძმაო, მოგზავნილი ხომ არ ხარ, მაგიზა ევროპაში რას მიდიოდი, აგერ, თბილისში გევლო ენერგოეფექტურობის ცენტრის ტრენინგებზე. ჰო, მართლა. ბიჭებო, ხუმრობა იქით იყოს და საშინელი სიზმარი ვნახე, დილას, რაფერც ბებიაჩემი მასწავლიდა, წყალს ვუთხარი პირველად, იმიზა გიყობით ახლა თქვენ: დედამიწას მიზიდულობის ძალა დაეკარგა და ადამიანები, სახლები, ხეები, ცხოველები უსასრულობაში ცვიოდა, შიშისგან ლაპარაკის უნარი წართმეული მქონდა, ვყვიროდი, მაგრამ ხმა არ ამომდიოდა, ამ დროს ვიღაცამ ხელი ჩამავლო, ავხედე, ცხონებული მამაჩემი იყო, ხელში აყვანილი მიმიყვანა სამშვიდობომდე და მითხრა: იცოდე, იმედი არასოდეს დაკარგოო, გამეღვიძა, ოფლში ვცურავდი, მამის ნახვითა და გადარჩენით გამოწვეულ სიხარულს კოშმარში განცდილი შიში და უსუსურობის განცდა ჩაგრავდა...

- კაი და კეთილია, ნენა, მშვიდობა იცის,- ასე მეტყოდა ბებია, ცუდ სიზმარს რომ მოვუყვებოდი...

უეცრად, ადამიანების ხმები გრანდიოზულმა ხმაურმა ჩაახშო, გეგონებოდა, ქვეყნად რაც ქვები იყო, ერთმანეთს შეეჯახა, ხმაური ცის კიდემდე აღწევდა, მყინვარი ბუბა განსაკუთრებით პირქუში იყო დღეს, არ ცხრებოდა ბუბისწყალი, ერთიანად მოხეთქა ჩახერგილი ხეები და თავისუფლებას მოწყურებული დაუმორჩილებლობით დაეშვა მთის ძირისკენ. განაწყენებული

ბუნება რისხვას აგზავნიდა ღვარცოფის სახით... ერთმანეთზე საშინელი კადრები იცვლებოდა ადამიანების თვალწინ: წაქცეული კოტეჯები, ხეები, ტალახის მასით დავიწროებული სივრცე, დაპატარავებული სამყარო და ვეებერთელა შიში... ფეხმოტეხილი მაგიდები და სკამები, ტალახში ჩაფლული თოჯინა, ბორბლებდაკარგული სათამაშო მანქანა, ხელმოტეხილი ჩაიდანი, სარკის ნატეხები და მასში არეკლილი ყბადაღებული სიცარიელე,უსულო და ცივი...

აქა-იქ განწირული კივილი და ტირილი ისმოდა, გოგას ფეხი ტალახში ეფლობოდა, ჯიუტად მიიწევდა წინ, - იმედი არასოდეს დაკარგო, - ისევ ჩაესმოდა მამის ხმა... ყველა ნაბიჯი უფრო და უფრო მძიმემდებოდა, მაგრამ სულ უფრო აშორებდა სიკვდილს და აახლოებდა სიცოცხლეს.

ჰორიზონტზე ცისარტყელამ გამოანათა, ბიბლიაში ნათქვამია, რომ ცისარტყელა დედამიწაზე დიდი წარღვნის შემდეგ გამოჩნდა, როგორც ნიშანი ღმერთის მოცემული, რომ მსგავსი უბედურება აღარ განმეორდება... ღმერთო, დალოცე დედამიწა!